SARAS-F-489086

შპს ,,კორპორაცია ქართული ღვინო"-ს

ფინანსური ანგარიშგებისა და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ,, კორპორაცია ქართული ღვინო"

შ ი ნ ა ა რ ს ი

1) დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

3) სრული შემოსავლის ანგარიშგება

4) ფულადი ნაკადების ანგარიშგება

5) კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

6) ძირითადი საშუალებების მოძრაობის ანალიზი

7) განმარტებითი შენიშვნები

8) დასკვნის ბოლო გვერდი

<u>დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა</u>

ვის: შპს " კორპორაცია ქართული ღვინო"-ს დამფუძნებელს და დირექციას

პატივცემულო ბატონებო!

ჩვენ ჩავატარეთ შპს "კორპორაცია ქართული ღვინო"-ს (ს/კ 204935099 - შემდომში კომპანიის) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ფასს) შესაბამისად და ამდენად აუდიტორული დასკვნა დადებითია.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ((შემდომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. სავარაუდოდ, საქმიანობის მიმოხილვა და მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ 2023 წლის 2 ოქტომბრამდე.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ მოცემულ პარაგრაფში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ ანგარიშგება არსებითად მცდარია.

სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

საქართველოს კანონმდებლობით, კომპანია ვალდებული იყო, ჩვენთვის წარედგინა საქმიანობის მიმოხილვა და კორპორაციული მართვის ანგარიშგება. ჩვენი პასუხისმგებლობაა, კანონმდებლობის მიხედვით, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისობაზე და ფინანურ ანგარიშგებასთან თანხვედრაზე.

ვინაიდან, ჩვენთვის არ არის წარდგენილი საქმიანობის მიმოხილვა და კორპორაციული მართვის ანგარიშგება, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას მათ კანონმდებლობასთან შესაბამისობასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრაზე.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს „საბი“ (SARAS-F-489086)-ის **სახელით**

წინამდებარე დასკვნაზე

გარიგების პარტნიორი **ზ. ჯაფარიძე** (SARAS-A-104216)

საქართველო. ქ. თბილისი, 2023 წლის 27 სექტემბერი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხების მოცემულია ლარებში)

აქტივები	შენიშვ.		31/12/2022	31/12/2021
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები			12787883	9446897
არამატერიალური აქტივები			21277	25032
სულ გრძელვადიანი აქტივები			**12809160**	**9471929**
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები			12015288	11283700
მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები			2976986	5132174
გაცემული სესხები და ავანსები			529869	988771
სხვა მიმდინარე აქტივები (ავანსები გადასახადებით)			19082	731912
სხვა მოთხოვნები				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები			578142	426525
სულ მიმდინარე აქტივები			**16119367**	**18563082**
გადავადებული საგადასახადო აქტივი				
სულ აქტივები	**0**	**0**	**28928527**	**28035011**
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი			15000	15000
გადაფასების რეზერვები				
აკუმულირებული მოგება-ზარალი			16497187	11450771
საანგარიშო წლის მოგება-ზარალი			2790410	6797372
სულ საკუთარი კაპიტალი			**19302597**	**18263143**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესეხები			4009506	1269279
გადავადებული მოგების გადასახადი				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			**4009506**	**1269279**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები			1716694	1722803
გადასახდელი გადასახადები				
გადასახდელი პროცენტები			0	0
გრეძელვადიანი და მოკლევადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი			3817314	6625113
მიღებული ავანსები			66474	120341
სხვა ვალდებულებები			15942	34332
სულ ვალდებულებები			**5616424**	**8502589**
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება				
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			**28928527**	**28035011**

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 27 სექტემბერს

დირექტორი ქ-ნი ნ. გაგნიძე მთ.ბუღალტერი ბ-ნი ვ. ქემოკლიძე

ფინანსური ანგარიშგება 2022 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანდართული ახსნა-განმარტებები წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

მოგება და ზარალის ანგარიშგება

იმ საანგარიშო წლებისათვის, რომელიც დასრულდა
2022წლის 31 დეკემბერს
(თანხები მოცემულია ლარებში)

	შენიშვნ.	2022 წ	2021 წ
ამონაგები		16183802	20161056
მარაგების და აქტივების თვითღირებულება		-8080915	-9156899
საერთო მოგება		**8102887**	**11004157**
სხვა შემოსავალი		14825	81871
ზოგადი და ადმინისტრაციელი დანახარჯები		-1700578	-1689539
კომერციული ხარჯები		-1366098	-1094918
სხვა ხარჯები (ცვეთა)		-1034429	-950779
გადასახადები (ქონება, მიწა)		-113815	-97916
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		**3902792**	**7252876**
უარყოფითი საკურსო სხვაობა		-192357	-48434
საპროცენტო ხარჯები		-914740	-851334
მოგება დაბეგვრამდე		2795695	6353108
ხარჯი მოგების გადასახადზე		-5285	-8786
არასაოპერაციო ხარჯი			
ხარჯი უიმედო ვალებზე		0	453050
წმინდა მოგება (ზარალი)		**2790410**	**6797372**

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 27 სექტემბერს

დირექტორი ქ-ნი ნ. გაგნიძე

მთ.ბუღალტერი ბ-ნი ვ. ქემოკლიძე

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

იმ საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(თანხები მოცემულია ლარებში)

	შენიშვნა	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში		426525	2820635
მყიდველებიდან მიღებული სახსრები		17913733	17501480
მომწოდებლებზე და თანამშრ. გადახდილი სახსრები		-12129309	-13638570
გადახდილი პროცენტები			
გადახდილი გადასახადები		-396718	-650145
გაუთვალისწინებელი შემოსავლები(დაბრუნებული დღგ)		1115850	419054
გაუთვალისწინებელი ხარჯები			
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**6503556**	**3631819**
საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა			
კაპიტალიზირებული დანახარჯები		-1556396	
ძირითადი საშუალებების შეძენა		-2821944	-840052
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული სარგებე		4326	22074
მომწოდებელზე გადახდილი ავანსების (ზრდა) შემცირება			
მიღებული პროცენტები		10041	43965
გადახდილი პროცენტები		0	0
მიღებული დივიდენდები			
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**-4374014**	**-817978**
საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირ. ფულადი სახსრების მოძ			
შემოსულობანი აქციების ემისიის შედეგად			
შემოსულობანი გრძელვადიანი და მიმდინარე სესხებიდან		5182140	5795000
ვინანსურ იჯარასთან დაკავშ. ვალდებულებების განაღდებ			
გადახდილი სესხები		-5030720	-8834012
სესხებზე გადახდილი პროცენტები		-914740	-975239
გადახდილი დივიდენდები		-1214605	-1193700
5. ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**-1977925**	**-5207951**
ფულადი სახსრები წლის ბოლოს		**578142**	**426525**
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა (შემცირება)		**151617**	**-2394110**

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 27 სექტემბერს

დირექტორი ქ-ნი ნ. გაგნიძე

მთ.ბუღალტერი ბ-ნი ვ. ქემოკლიძე

ფინანსური ანგარიშგება 2022 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანდართული ახსნა-განმარტებები წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

იმ საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა
2022 წლის 31 დეკემბერს
(თანხები მოცემულია ლარებში)

		საკუთარი კაპიტალის მოძრაობა		
	კაპიტალი	მოგება	რეზერვები	
31 დეკემბერი 2020	**15000**	**12629331**	**0**	**12644331**
დივიდენდის განაწილება		-1256526		
წმინდა მოგება		6797372		
წინა წლის ზარალების კორექტირება		77966		
რეზერვები უიმედო ვალებზე		0	0	
31 დეკემბერი 2021	**15000**	**18248143**	**0**	**18263143**
დივიდენდის განაწილება		-1278532		
წმინდა მოგება		2790410		
წინა წლის მოგება-ზარალის კორექტირება		-472424		
რეზერვები უიმედო ვალებზე			0	
31 დეკემბერი 2022	**15000**	**19287597**	**0**	**19302597**

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 27 სექტემბერს

დირექტორი ქ-ნი ნ. გაგნიძე

მთ.ბუღალტერი ბ-ნი ვ. ქემოკლიძე

ფინანსური ანგარიშგება 2022 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანდართული ახსნა-განმარტებები წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარებში)

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობები	ავეჯი	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და სპეცინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	29996	4370000	303871	8928194	280307	826818	14739186
შეძენა	0	1556397	0	2486357	53238	282349	4378341
გასვლა (რეალიზაცია)	0	0	0	-27121	-2525		-29646
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	29996	5926397	303871	11387430	331020	1109167	19087881

ცვეთა

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		741257	201133	3752579	200405	396915	5292289
პერიოდის ცვეთა		121823	29647	709916	42084	127203	1030673
გასული ცვეთა		0	0	-20533	-2431		-22964
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		863080	230780	4441962	240058	524118	6299998

წმინდა საბალანსო ღირებულება

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	29996	3628743	102738	5175615	79902	429903	9446897
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	29996	5063317	73091	6945468	90962	585049	12787883

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 27 სექტემბერს

დირექტორი ქ-ნი ნ. გაგნიძე მთ.ბუღალტერი ბ-ნი ვ. ქემოკლიძე

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარებში)

ახსნა-განმარტებითი შენიშვნა 1 - საწარმოს საქმიანობა

შპს “კორპორაცია ქართული ღვინო” რეგისტრირებულია ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს სასამსართლოს მიერ. რეგისტრაციის №5/4-4423. საზოგადოება დაარსდა 1999 წლის 1 ნოემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია: ი. ჭავჭავაძის გამზირი №78. კომპანიას ამჟამად მართავს დირექტორი ქ-ნი ნათია გაგნიძე. კომპანიას გაცხადებული და შევსებული საწესდებო კაპიტალი 15000 ლარია. საზოგადოებას ჰყავს ერთი 100%-იანი დამფუძნებელი საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას დღიდან დაარსებისა წარმოადგენს ალკოჰოლური სასმელების წარმოება და მისი ადგილობრივი რეალიზაცია და უმეტეს წილად ექსპორტი. კომპანია ჩართულია გადასახადის გადამხდელთა ერთიან სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი №204935099. საზოგადოება დღგ-ს გადამხდელია 2000 წლის 1 მარტიდან. კომპანიის ძირითადი საბანკო ანგარიში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში გახსნილია სს “თი-ბი-სი ბანკში ა/ა #GE27TB0600000016467374.

კომპანიას გააჩნია ყურძნის გადამამუშავებელი და ღვინის ჩამომსხმელი ქარხანა თელავის რაიონის სოფელ წინანდალში. კომპანიაში სისტემატურად დასაქმებულია 80-მდე თანამშრომელი.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნა 2- არსებული საოპერაციო გარემო

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოს არ გააჩნია ჩამოყალიბებული საბაზრო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი განვითარებული საქმიანი და საკანონმდებლო ინფრასტრუქტურა, დახვეწილი საგადასახდო კანონმდებლობა. შედეგად, საქართველოში განხორციელებულ ოპერაციებს თან ახლავთ გარკვეული რისკები, რომლებიც უცხოა განვითარებული ქვეყნებისათვის. ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებში საქმიანობის თანმდევი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რისკები, სხვა ფაქტორებთან ერთად, გავლენას ახდენენ კომპანიის საქმიანობაზე. ასეთი ტიპის რისკები განპირობებულია სახელმწიფო პოლიტიკით, ეკონომიკური პირობებით და სოციალური მოვლენებით.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნა 3 - წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე დასკვნა მომზადებული იქნა საწარმოს ბუღალტრული ჩანაწერებიდან ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IAS) მოთხოვნების შესაბამისად წარდგენილი ანგარიშგებისაგან. ანგარიშგების მომზადების პროცესში ჩვენს მიერ მოხდენილია რამოდენიმე არსებითი ხასიათის შესწორებანი, კერძოდ, უიმედო ვალების რეზერვის ანგარიშში, უცხოურ ვალუტაში გამოხატული საბუღალტრო ნაშთების გადაფასების ნაწილში.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნა 4- სააღრიცხვო პოლიტიკა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

4.1. მომზადების საფუძველი.

კომპანია თავისი ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მიხედვით მომზადების დასრულების პროცესშია. კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით სრული შესაბამისობა ფასს-ებთან მიღწეული იქნა 2020 წლის 31

დეკემბრისათვის. სწორედ ამ მიზნით, მენეჯმენტმა გადაწყვიტა, ეწარმოებინა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შედგება: 2022 წლის 1 იანვრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო უწყისისაგან, 2022 წლის სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგებისაგან, საკუთარ კაპიტალში განხორციელებული ცვლილებების ანგარიშგებისაგან და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების მომზადების საფუძველია ფასს–ები. ამ მიზნით საწყისი ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის (ფასსებზე გადასვლის თარიღი) წარმოდგენილი ბალანსი მომზადებულია ფასს 1 – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ შესაბამისად. ეს სტანდარტი მოითხოვს რომ სტანდარტის დანერგვის თარიღის ბალანსი შესაბამისობაში იყოს სრული ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის არსებულ ფასს-ებთან, რომელიც მომზადებული იქნა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების ყველა მოთხოვნების გათვალისწინებით რომლებიც გამოშვებულია და ეფექტურია ან გამოშვებულია და წინასწარ დანერგილია ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის. შესაძლებელია ფინანსური ანგარიშგება უმნიშვნელოდ შეიცვალოს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეფექტური ფასს-ებთან შესაბამისობის მიზნით.

წამოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული თვითღირებულების პრინციპის საფუძველზე.

4.2. ფასს-ების პირველადი დანერგვა.

ეს არის კომპანიის მიერ მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება, ამდენად ახსნა-განმარტება იმისა თუ რა გავლენა იქონია ფასს-ებზე გადასვლის მიზნით მომზადებულმა პირველმა ფინანსურმა ანგარიშგებამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების ნაკადებზე არ არის წარმოდგენილი.

4.3. ახალი და შეცვლილი სტანდარტების დანერგვა

ქვემოთ მოცემულია ახლი და შეცვლილი, სტანდარტები რომლებიც დანერგილი აქვს კომპანიას პირველად 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაშიცვლილებები ბასს 12-ში, მოგების გადასახადი

IASB-მა გამოუშვა დოკუმენტი “გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება არარეალიზებული ზარალისათვის”, რომლითაც მცირე მასშტაბის ცვლილებები შევიდა ბასს 12-ში, „მოგების გადასახადი“. ამ განახლების მიზანია, განსაზღვროს, თუ როგორ აღირიცხოს გადავადებული მოგების გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრულ სასესხო ინსტრუმენტებთან. ნაწილობრივ, სადაც საბაზრო საპროცენტო განაკვეთის შემცირება იწვევს ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შემცირებას.

ცვლილებები აზუსტებენ შემდეგ ასპექტებს:

- არარეალიზებული ზარალი სასესხო ინსტრუმენტებზე, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია სამართლიანი ღირებულებით, ხოლო საგადასახადო მიზნებისთვის აისახება თვითღირებულებით, წარმოშობს გამოქვითვად დროებით სხვაობას, მიუხედავად იმისა, ამ ინსტრუმენტის მფლობელი მის გაყიდვას აპირებს თუ გამოყენებას;
- აქტივის საბალანსო ღირებულება არ გვზღუდავს სავარაუდო მოგების გადასახადის განსაზღვრებაში;
- განსაზღვრული მომავალი დასაბეგრი მოგება არ შეიცავს იმ საგადასახადო გამოქვითვებს, რომლებიც წარმოქმნილია გამოსაქვითი დროებითი სხვაობების შებრუნებით.
- კომპანიამ უნდა განსაზღვროს საგადასახადო კოდექსის შეზღუდვები დასაბეგრი მოგების იმ წყაროზე, რომლებსაც შეუძლიათ, შეამცირონ გამოსაქვითი დროებითი სხვაობების შებრუნება. თუ საგადასახადო არ შემოიღებს ამგვარ შეზღუდვას, მაშინ კომპანიას შეეძლება ეს დროებითი გამოქვითვადი სხვაობა შეაფასოს სხვა დროებით გამოსაქვით სხვაობებთან ერთად.

ცვლილებები ეფექტური იქნება 2017 წლის 1 იანვრიდან და მათი გამოყენება მოითხოვება რეტროსპექტულად. ხელმძღვანელობა ამ ცვლილებებისგან არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე, 2017 წლიდან ფინანსურ ანგარიშგებაში გადავადებული გადასახადების აღიარება აღარ ხდება, რადგან აღარ არსებობს ის ფაქტორები, რაც გადავადებულ გადასახადებს წარმოშობდა.

ბასს (IAS) 7 ინფორმაციის გახსნის ინიციატივა და ცვლილებები ბასს (IAS) 7-ში

ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ - ცვლილებები შევიდა „ინფორმაციის გახსნის ინიციატივის“ ფარგლებში და საწარმოებს ავალდებულებს ისეთი ინფორმაციის წარმოდგენას, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, შეაფასონ საფინანსო საქმიანობის შედეგად ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებები, ფულადი ნაკადებით განპირობებული ცვლილებებისა და არაფულადი ცვლილებების ჩათვლით. ცვლილების თავდაპირველად განხორციელებისას, საწარმოებს არ მოეთხოვებათ წინა პერიოდებთან შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ქვემოთ მოცმული სტანდარტები კომპანიას ასევე დანერგილი აქვს წინასწარ:

ცვლილებები ფასს 2-ში წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების კლასიფიკაცია და გაზომვა

ცვლილებები სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან. მათი მიზანია სტანდარტში არსებული ზოგიერთი პრინციპისა და სააღრიცხვო მიდგომის განმარტება.

გაუმჯობესებათა 2014-2016 წლების ციკლი

აღნიშნული გაუმჯობესებები ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან:

- ფასს 1 - არსებული მოკლევადიანი შეღავათები ფასს 7, ბასს 19 და ფასს 10-ის გარდამავალი მუხლებისათვის გაუქმებულია (არა-აქტუალობის გამო);
- ბასს 28 - განმარტებულია, რომ ერთობლივმა საწარმოებმა, ფონდებმა და მსგავსმა ორგანიზაციებმა მეკავშირეებსა და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციების სამართლიანი ღირებულებით ასახვის არჩევანი უნდა განახორციელონ ინდივიდულაურად თითოერული ორგანიზაციისათვის თავდაპირველი აღიარებისას.

ქვემოთ მოცემულია ის სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომლებიც გამოშვებულია და ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ პერიოდზე და რომლებიც არ არის ადრე დანერგილი წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების წარმოებისას. კომპანიის შეფასებით არცერთ მათგანს არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები (ეფექტურია საანგარიშგებო პერიოდებისათვის რომლებიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს)

საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოაქვეყნა თავისი ბოლო ცვლილება ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები (2014)-თან დაკავშირებით, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 39-ს - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალი სტანდარტი მნიშვნელოვან ცვლილებებს ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე და შემოაქვს ახალი განსაზღვრება „მოსალოდნელი ზარალი“ ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის. ფასს 9, ასევე, გვთავაზობს ახალ აღრიცხვას ჰეჯირებაზე.

კომპანიის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ამ ახალი სტანდარტის გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ახალი სტანდარტის მოთხოვნის მიხედვით, გამოყენებული უნდა იყოს საანგარიშო წლის დასაწყისში ან 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ.

ფასს 16 იჯარა (ეფექტიურია საანგარიშგებო პერიოდებისათვის რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს)

ფასს 16 აწესებს ახალ მოთხოვნებს იჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით. ფასს 16 მოითხოვს, იჯარა აღირიცხოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივი „გამოყენების უფლებით“ და იჯარის ვალდებულება.

ფასს 16 ასევე:

ცვლის იჯარის განმარტებას;

- აწესებს მოთხოვნებს, თუ როგორ აღვრიცხოთ აქტივი და ვალდებულება, ასევე რთული საკითხები, როგორებიცაა, არასაიჯარო ელემენტები, ცვლადი იჯარის გადასახადები და ოფციის პერიოდი;
- ითვალისწინებს გამონაკლისებს მოკლევადიან იჯარაზე და დაბალფასიანი აქტივების იჯარებზე;
- ცვლის აღრიცხვას რეალიზაციის და უკუიჯარის გარიგებებზე;
- ძირითადად ინარჩუნებს ბასს 17-ის მიდგომას;
- გვაცნობს ახსნა-განმარტებითი შენიშვნების ახალ მოთხოვნებს.

ფასს 16 ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. სტანდარტის ამ ვადაზე ადრე გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება ფასს 15 - შემოსავალი მომხმარებლებთან კონტრაქტებიდან. ამ ეტაპზე ამ ახალი სტანდარტის გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ ხდება შესაბამისი საიჯარო ვალდებულებების არარსებობის გამო.

ფასს 15 შემოსავალი მომხმარებლებთან კონტრაქტებიდან (ეფექტურია საანგარიშგებო პერიოდებისათვის რომლებიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს)

ფასს 15 წარმოადგენს ახალ მოთხოვნას რეალიზაციის აღიარებასთან დაკავშირებით და იგი ანაცვლებს ბასს 18-ს – "ამონაგები", ბასს 11-ს – "სამშენებლო კონტრაქტები" და სხვა რეალიზაციასთან დაკავშირებულ სტანდარტებს. ახალი სტანდარტი საუბრობს კონტროლთან დაკავშირებულ რეალიზაციის მოდელზე და იძლევა ისეთ დეტალებზე განმარტებებს, რაც სხვა ფასს-ებში არ იყო აქამდე დაფარული. მათ შორის, როგორ აღირიცხოს ბუღალტრულად მრავალპროფილიანი ვალდებულებები, ფასების ცვალებადობა, მომხმარებლების დაბრუნებული უფლებები, მომწოდებლების გამოსყიდული ოფციები და სხვა კომპლექსური საკითხები.

ფასს 15 ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. კომპანიის მენეჯმენტს ჯერ არ შეუფასებია ამ სტანდარტთან დაკავშირებული ეფექტი რა გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

ცვლილებები ბასს 40-ში

ცვლილებები განმარტავენ , რომ საინვესტიციო ქონებაში აქტივის შეტანა ან გატანა შესაძლებელია მხოლოდ ამ აქტივის გამოყენების დადასტურებული ცვლილებების შემთხვევაში. გამოყენების ცვლილებას ადგილი აქვს, როდესაც აქტივი აკმაყოფილებას ან აღარ აკმაყოფილებას საინვესტიციო ქონების განმარტებას. ხელმძღვანელობის განზრახვა, აქტივის გამოყენებასთან დაკავშირებით არ არის საკმარისი მტკიცებულება აქტივის კლასიფიკაციის მიზნებისათვის. ცვლილებები ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან და მატი დანერგვა, გარკვეული დაშვებებით, შესაძლებელიამ როგორც პერსპექტიულად ისე რეტროსპექტიულად. კომპანიის მენეჯმენტს ჯერ არ შეუფასებია ამ სტანდარტთან დაკავშირებული ეფექტი რა გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

ცვლილებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში

ცვლილებები ეხება აქტივის მიწოდების ან შეტანის აღრიცხვას ინვესტორსა და მის მეკავშირეს ან ერთობლივ საწარმოს შორის. ცვლილება სპეციფიკურად განიხილავს ოპერაციის შედეგად მიღებული მოგება ზარალის აღრიცხვას. საბჭოს მიერ არ არის დადგენილი ცვლილების ეფექტურობის თარიღი თუმცა დაშვებულია ამ ცვლილებების ადრეული გამოყნება. კომპანიის მენეჯმენტს ჯერ არ შეუფასებია ამ სტანდარტთან დაკავშირებული ეფექტი რა გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში,ვინაიდან ასეთ ოპერაციებს ადგილი არ ჰქონია.

4.4. ***წარსადგენი ვალუტა.***

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორისი ოპერაციების შედეგად, აშშ დოლარსა და ევროსთან მიმართებაში იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 1 იანვარს	3.0892	3.4991
2022 წლის 31 დეკემბერს	2.7020	2.8844

ფინანსური ინსტრუმენტები

შეფასების ძირითადი პირობები - ფინანსური ინსტრუმენტები აისახება რეალური ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, მათი კლასიფიკაციის მიხედვით, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

რეალური ღირებულება გახლავთ თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის `გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. რეალური ღირებულება არის მიმდინარე შეთავაზებული ფასი ფინანსური აქტივებისათვის და მოთხოვნილი ფასი ფინანსური ვალდებულებებისათვის, რომლებიც კვოტირებულია აქტიურ ბაზარზე. ურთიერთგადამფარავი საბაზრო რისკების მქონე აქტივებისა და ვალდებულებებისთვის კომპანიამ შეიძლება საშუალო საბაზრო ფასები გამოიყენოს ურთიერთგადამფარავი რისკის პოზიციების რეალური ღირებულების დადგენისათვის და შეთავაზებული ფასი ან მოთხოვნილი ფასი გამოიყენოს ღია პოზიციების შესაფერისად დაბალანსებისათვის. ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კოტირებულად განიხილება, თუ კოტირებული ფასები იოლად და რეგულარულად მიღებადია ბირჟიდან ან სხვა დაწესებულებიდან და აღნიშნული ფასები ასახავს ფაქტიური და რეგულარული საბაზრო გარიგებებს საფონდო ბირჟაზე `გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადის მოდელები ან მოდელები გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით დადებული ბოლოდროინდელი გარიგებების, ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთათვისაც გარე საბაზრო ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. შეფასების მეთოდებით შეიძლება მოითხოვებოდეს ისეთი დაშვებების გაკეთება, რომლებიც არ არის გამყარებული დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ახსნა-განმარტებითი შენიშვნები თუ მსგავსი დაშვებების გონივრულად შესაძლებელი ალტერნატივით შეცვლის შედეგად მიიღება მნიშვნელოვნად განსხვავებული მოგება, შემოსავალი, მთლიანი აქტივები ან მთლიანი ვალდებულებები.

გარიგების დანახარჯები არის ნამეტი დანახარჯები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს. ნამეტი დანახარჯები არის დანახარჯები, რომლებიც არ წარმოიშობოდა, თუ არ განხორციელდებოდა გარიგება. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (გაყიდვის აგენტებად მოქმედ დაქირავებულ მომუშავეთა ჩათვლით), მრჩეველების, ბროკერებისა და დილერების ხელფასებსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი სააგენტოებიდან და საფონდო ბირჟებიდან მოსაკრებლებსა და სატრანსფერო ბაჟსა თუ სავალდებულო მოსაკრებელს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს პრემიებსა და ფასდათმობებს, ფინანსურ დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ თუ მფლობელთა დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა თავდაპირველი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის გადახდით, მიმატებული დარიცხული პროცენტის თანხა და ფინანსური ინსტრუმენტებისათვის, შემცირებული მიღებული გაუფასურების ზარალის ჩამოწერით. დარიცხული პროცენტის თანხა მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და პრემიას ან ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტის დისკონტირებული ღირებულება. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯები, როგორც დარიცხული კუპონის, ისე ამორტიზირებული დისკონტის ან პრემიის ჩათვლით (წარმოშობისას გადავადებული საზღაურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს), ცალ-ცალკე კი არ აისახება, არამედ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი, ისე რომ მიღებულ იქნეს პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო

ფულად სახსრებს (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, თუ შესაფერისია, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ხდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების დისკონტირება პროცენტის გადაფასების შემდეგ თარიღამდე, გარდა პრემიის ან დისკონტისა, რომელიც ასახავს ინსტრუმენტში განსაზღვრული მცოცავი საპროცენტო განაკვეთის შეღავათის დიაპაზონს ან სხვა ცვლადებს, რომლებიც დამოკიდებული არ არის საბაზრო განაკვეთზე. მსგავსი პრემია ან დისკონტი ამორტიზდება ინსტრუმენტის მთელი მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში. ახლანდელი ღირებულების გაანგარიშება მოიცავს მხარეების მიერ ყველა საკონტრაქტო გადახდილ ან მიღებულ საზღაურს, რომელიც შეადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარებისას და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების გადატანა ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიაში არ გადიოდა.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, პლუს გარიგების დანახარჯებით. გარიგების ფასი არის თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება. თავდაპირველი აღიარების დროს მიღებული შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, თუ არსებობს განსხვავება რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რომლის დასაბუთებაც შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებად საბაზრო გარიგებებით, ან შეფასების ისეთი მეთოდით, რომელიც მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას გულისხმობს.

ყველა ფინანსური აქტივის შესყიდვა და გაყიდვა, რომელთა მიწოდება მოითხოვება მარეგულირებელი წესებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (ყიდვა-გაყიდვის 'ჩვეულებრივი გზა') დადგენილ ვადებში, აისახება გარიგების დადების თარიღით, რომელიც არის ის თარიღი, როდესაც კომპანია ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას იღებს. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტას ახორციელებს მაშინ, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია, ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვა მხრივ ამოიწურა, ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან გააფორმა კვალიფიცირებადი `გავლითი შეთანხმება, ხოლო ამავე დროს (ი) ასევე გადასცა აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი, ან (იი) არ გადასცა აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი, მაგრამ არ ინარჩუნებს კონტროლს. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარეს არ გააჩნია დაუკავშირებეული, მესამე მხარისათვის ერთიანი აქტივის მიყიდვის პრაქტიკული უნარი გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

4.5. ძირითადი საშუალებები

2022 წლის 31 დეკემბრისათის წარდგენილი ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთისა ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით ან "ჩათვლილი ღირებულებით" ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების პირველადი გამოყენება შესაბამისად. ამ თარიღის შემდეგ შეძენილი ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით, რომელზეც დაკლებულია დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	40-50
საოფისე აღჭურვილობა და საწარმოო დანადგარები	2-15.
სატრანსპორტო საშუალებები	7-10

კომპანიის ბალანსზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული ძირითადი საშუალებების უმეტესი ნაწილი მოდის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, შენობა-ნაგებობებზე, სამაცივრე და სხვა დანადგარებზე, ასევე უმნიშვნელოდ სატრანსპორტო საშუალებებზე, საოფისე აღჭურვილობაზე და ავეჯზე.

4.6. არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე ნაწილობრივ წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების ვადით, ხოლო ნაწილობრივ ნარჩენ ღირებულებაზე 15%-იანი ცვეთის დარიცხვის მოეთოდით.

4.7. მოგების გადასახადი

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომელის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი, ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის, ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება, ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითვების განსახორციელებლად.

კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს კომპანია იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. კომპანიის შეფასება ეფუძნება მოქმედი, ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს, ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძვნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი, ხოლო ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადის გადამხდელების უმრავლესობას, მათ შორის კომპანიასაც, აღარ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში შეტანას. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების აღრიცხვა აღარ სწარმოებს და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი ან/და ვალდებულება ნულია, ვინაიდან აღარ არსებობს ის ფაქტორები, რომელიც გადავადებულ გადასახადს წარმოშობს.

4.8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთის 12015,3 ათასი ლარის უმეტესი ნაწილი მოდის შემდგომის ჩამოსხმისათვის განკუთვნილ ღვინო-მასალაზე, მის ჩამოსახმელად საჭირო ნედლეულზე, ხოლო მცირე ნაწილი წარმოადგენს დამხმარე მასალების და საწვავის ნაშთს.

4.9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

4.10. ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მისი მოხდენისთანავე ერთი ან უფრო მეტი მოვლენის შედეგად (`ზარალის განმაპირობებელი მოვლენები), რომელთაც ადგილი ჰქონდათ ფინასნური

აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მოცემული ფინანსური აქტივიდან, ან ფინსური აქტივების ჯგუფიდან, რომელთა საიმედო შეფასებაც შესაძლებელია, მომავალი ფულადი სახსრების ნაკადების შეფასების ოდენობაზე, ან პერიოდულობაზე. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაადგენს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ადგილი ჰქონდა ინდივიდუალურად შეფასებული აქტივის გაუფასურებას, მიუხედავად მნიშვნელოვანი, ან უმნიშვნელო გაუფასურებისა, კომპანია ამ აქტივს მიაკუთვნებს ანალოგიური საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფს და ერთობლივად შეაფასებს მათ გაუფასურებას. ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას ძირითადი ფაქტორები, რომელსაც გაითვალისწინებს კომპანია, არის ფინანსური აქტივის ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მასთან დაკავშირებული გირაოს [უზრუნველყოფის საშუალების], თუ ის არსებობს, რეალიზობადობა. შემდეგი სხვა პრინციპული კრიტერიუმები, რომელიც ასევე გამოიყენება იმის დასადგენად არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება გაუფასურების ზარალის არსებობის დასადგენად, შემდეგია:

- თანხის ნებისმიერი ნაწილი, ან შესატანი თანხის გადახდა ვადაგადაცილებულია და გვიანი გადახდა არ მიეწერება ანგარიშსწორების სისტემით გამოწვეულ დაბრკოლებას;
- კონტრაქტის ხელმომწერი მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, რასაც მოწმობს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაცია;
- კონტრაქტის ხელმომწერი მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, რასაც მოწმობს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაცია;
- კონტრაქტის ხელმომწერი მეორე მხარის მიერ გადახდის მდგომარეობაში უარყოფითი ცვლილებაა, რაც განაპირობა მთელს ქვეყანაში, ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შეცვლამ, რამაც ზეგავლენა მოახდინა კონტრაქტის ხელმომწერ მეორე მხარეზე; ან
- გირაოს ღირებულება, მისი არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად შემცირდა საბაზრო პირობების გაუარესების შედეგად.

იმ შემთხვევაში, თუ ამორტიზებული ღირებულებით ასახული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები მოლაპარაკების შედეგად შეიცვალა, ან სხვა მხრივ მოხდა მოდიფიცირება კონტრაქტის ხელმომწერი მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურების შეფასება ხდება პირობების მოდიფიკაციამდე არსებული თავდაპირველი *ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.*

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, რათა ***აქტივის საბალანსო ღირებულება დაყვანილ იქნეს მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებამდე (რომელიც არ მოიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომლებიც წარმოშობილი არ ყოფილა), რომელთა დისკონტირებაც ხდება მოცემული აქტივის თავდაპირველი ფაქტობრივი საპროცენტო განაკვეთით. დაგირავებული ფინანსური აქტივიდან სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების კალკულაციაში აისახება ფულადი ნაკადები, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს დაგირავებული აქტივის უმცირესი ფასებით გაყიდვით ან შესყიდვით, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა დაგირავებულ აქტივზე უფლების დაკარგვის საშიშროება.***

იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების თანხის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან (მაგალითად, როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება ხდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მეშვეობით.

ამოუღებელი აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის ანარიცხებში მას შემდეგ, როდესაც დასრულდება აქტივის ამოსაღებად ყველა საჭირო პროცედურის განხორციელება დასრულდება და განისაზღვრება ზარალის ოდენობა. შემდგომ ამოღებული თანხები, რომელიც ადრე იქნა ჩამოწერილი, დაერიცხება სხვა შემოსავლის ანგარიშს მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში.

4.11. გადახდილი ავანსები.

გადახდილი ავანსები აისახება ღირებულებით, მინუს გაუფასურების ანარიცხი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილ ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ

კომპანია მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში, ან ზარალი, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში.

კომპანიის ბალანსზე გადახდილი ავანსების მუხლში რიცხული ნაშთი წლის დასაწყისში და წლის ბოლოსაც თითქმის სრულად წარმოადგენს სხვადასხვა ადგილობრივ და უცხოელ მომწოდებლებზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილი ავანსს, ამასთან უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ავანსების გადაფასება არ სწარმოებს.

4.12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ***ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.***

4.12.1. ანგარიშგებაში ასახული ფულადი სახსრები სრულად შედგება ნაღდი ფულის და საბანკო ანგარიშებისაგან. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულის და საბანკო ანგარიშებისაგან, რაც თითქმის სრულად წარმოადგენს წლის ბოლოს სალარე და სავალუტო საბანკო ანგარიშებზე რიცხულ ნაშთებს, ხოლო სალაროს ნაშთი უმნიშვნელო და მხოლოდ 7298,0 ლარია.

4.12.2 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ №7-ის შესაბამისად, არაპირდაპირი მეთოდით. აღნიშნული ანგარიშგების მიზანია ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ცვლილებების ანალიზი.

4.13. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომოპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღირებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

4.14. უცხოური ვალუტის გადაანგარიშება

უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ოპერაციები გადაანგარიშებულია ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის მოხდენის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის გამოყენებით. უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშებულია ეროვნულ ვალუტაში ბალანსის შედგენის დღისათვით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის გამოყენებით, გადაანგარიშებების შედეგად გამოწვეული საკურსო სხვაობები აღრიცხულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ავანსის გადაფასება არ ხორციელდება.

2022 წლის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ:

1 იანვრისთვის	3,0892
წლის ყველაზე დაბალი	2,6646
წლის ყველაზე მაღალი	3,4019
31 დეკემბერისათვის	3,7020

4.15. მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები

მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები წარმოდგენილია ნომინალური ღირებულებით.

4.16. ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება ხორციელდება მომსახურების გაწევისა და საქონლის გადატვირთვისთანავე, როდესაც მისაღები თანხის განსაზღვრა შეიძლება საიმედოდ.

4.17. ინფლაციის გავლენა

ბასს 29 ითხოვს, რომ ჰიპერინფლაციური ეკონომიკის ვალუტით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები იქნას ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებულ ზომის ერთეულებში. ბასს 29-ის მიხედვით კომპანიის სამეურნეო საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებული იქნება ადგილობრივი ვალუტით ყოველგვარი შესწორებების გარეშე, არ იქნება სასარგებლო. ფული მსყიდველობითუნარიანობას კარგავს იმ დონეზე, რომ ერთი და იმავე საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი სხვადასხვა ოპერაციებისა თუ მოვლენების ამსახველი თანხების შედარება, შეცდომაში შეიყვანს მომხმარებელს. ბასს 29 ჰიპერინფლაციის დაწყების მაჩვენებლად საზღვრავს რამდენიმე კრიტერიუმს, მათ შორის ინფლაციის საერთო დონე სამი წლის განმავლობაში აღწევს ან აჭარბებს 100%-ს. ზემოს აღნიშნული ინფლაციის დონე, რომელიც ეფუძნება საქართველოში სამომხმარებლო ფასების ინდექსს, 2022 წლის დეკემბრის პერიოდში შეადგენდა 11,9%-ს

4.18 საეჭვო მოთხოვნების რეზერვი

კომპნია საეჭვო ვალების რეზერვი უკვე შექმნილი და დარეზერვებული აქვს წინა წლების შედეგებით.

4.19. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს გარიგების მსურველ მხარეებ შორის, გარდა იძულებული გაყიდვისა ან ლიკვიდაციისა და მისი საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი.

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა კომპანიის მიერ, რომელმაც გამოიყენა ბაზარზე არსებული ინფორმაცია, მისი არსებობის შემთხვევაში, და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიები. თუმცა, საჭიროა განსჯის გამოყენება იმისათვის, რომ ინტერპრეტირებული იქნეს საბაზრო მონაცემები და განისაზღვროს შეფასებული რეალური ღირებულება. საქართველო კვლავ ამჟღავნებს ჩამოყალიბებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობებით კვლავ იზღუდება ფინანსურ ბაზრებზე აქტივობების მოცულობა. საბაზრო კვოტირებები შესაძლოა მოძველებული იყოს ან ასახავდეს იძულებითი გაყიდვის ოპერაციებს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

4.20 *კაპიტალის მართვა.*

კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის , ფუნქციონირება, რათა მეწილეებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

4.21. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

		დამფუძნებლები		**სხვა დაკავშირებული მხარეები და ჯგუფის სხვა წევრები**	**მენეჯმენტი**
გადახდილი დივიდენდი		1278532	-	0	-
მიღებული სესხები	-	0	-	0	
გადახდილი იჯარის საფასური	296294				
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები		231722			
დამფუძნებელი (გადახდილი)	-		-		
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (ხარჯი)	-		-		61319

4.22. წმინდა მოგების განაწილება

2022 წელს პარტნიორზე დივიდენდის სახით გაცემული გაცემული იქნა 1278,5 ათასი ლარი (ხელზე 1214,6 ათასი ლარი), რომლის ანგარიშშიც მოგების გადასახადის ხარჯი ნულია (გაცემულია 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული წმინდა მოგება).

4.23. საგადასახადო რისკი

საზოგადოების მიერ განხორციელებული გამჭირვალე საქმიანობის სპეციფიკიდან და სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე საგადასახადო რისკი ამ ეტაპზე არაარსებითია. კომპანიაში ბოლო საგადასახადო შემოწმება დასრულებულია 2021 წლის დეკემბრის ბოლოს, რომლის საფუძველზეც შემოწმებული იქნა 2018-2020 საანგარიშო წლების და 2021 წლის პირველი 6 თვის პერიოდი და მის საბოლოო შედეგების საფუძველზე ჯამურად დარიცხული თანხა 6,0 ათასი ლარის ოდენობით უმნიშვნელო და არარსებითია.

4.24. კოვიდპანდემიის გავლენა

2020-2021 წლებში მსოფლიოში და საქართველოში განვითარებული კოვიდპანდემიის ფონზე მომხდარი ეკონომიკური კრიზისის გამო პროდუქციის ექსპორტიორების თხოვნით კოვიდპანდემიის ფაქტორის გათვალისწინებით 2020 წლის აპრილის თვიდან მოყოლებული შემცირებულია საექსპორტო პროდუქციის სარეალიზაციო ფასები, ასევე 2021 წელში ნაწილობრივ დაკორექტირებულია ადრე გადატვირთული პროდუქციის ფასები, თუმცა კოვიდპანდმიამდე არსებული საექსპორტო ფასების ნიშნულამდე ასვლა 2022 წლის შედეგებით ვერ მოხერხდა.

4.25. ომი უკრაინაში

უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგად მსოფლიოს ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ევროკავშირმა მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს, ასევე წამყვან რუსულ ბანკებს. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. უკრაინაში მომდინარე ომმა და რუსეთზე დაწესებულმა სანქციებმა შესაძლოა გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ადევნებს თვალს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში. კომპანია უკრაინაში ომს მიიჩნევს საბალანსო უწყისის შემდგომ არამაკორეტირებელ მოვლენად.

საქართველო. ქ. თბილისი, 2023 წლის 27 სექტემბერი

მმართველობის ანგარიშგება

2022

28.09/2022 შპს კორპორაცია ქართული ღვინო

სარჩევი

შესავალი 1

წარდგინება კომპანიის დირექტორისაგან 1

საქმიანობის მიმოხილვა 1

კომპანიის შესახებ 1

რას ვსაქმიანობთ 2

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა 2

კორპორაციული მართვის ანგარიშგება 2

დირექტორის მოკლე ბიოგრაფია 3

სტრუქტურის თავისებურებანი და მაგალითები 4

კომპანიის პოლიტიკები 8

არაფინანსური ანგარიშგება 9

ჩვენი გუნდი 9

ჯანსაღი გარემო შრომისათვის 9

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე 9

კორუფციასთან ბრძოლა 10

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები 10

მმართველობის ანგარიშგება

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს კომპანიის განვითარების პოტენციალისა. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

აღნიშნული დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავალო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს „კორპორაცია ქართულ ღვინო“-ს მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მომსახურეობის მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად.

ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობთ, რომ შპს „კორპორაცია ქართულ ღვინო“-ს გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა, ასევე მისია რათა მსოფლიოში გავიტანოთ და წარმოვაჩინოთ ქართული ღვინის სახელი და იმიჯი.

მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის შესახებ

შპს „კორპორაცია ქართული ღვინო“ შეიქმნა 1999 წლის ნოემბერში. დღიდან რეგისტრაციისა კომპანიას ჰყავს მხოლოდ ერთი 100%-იანი წილის მფლობელი დიმიტრი ნოზაძე.

რას ვსაქმინობთ

შპს „კორპორაცია ქართული ღვინო“ -ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ღვინის წარმოება მისი ადგილობრივი რეალიზაციისა და ექსპორტის მიზნით. კომპანიას დღეის მდგომარეობით გააჩნია: ოფისი - ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი #78, და ღვინის წარმოების ქარხანა - თელავის რაიონის სოფელი წინანდალი 22/17.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა.

ჩვენთან თანამშრომლობის პირველი წინაპირობაა, პარტნიორთა საქმიანობაზე, რეპუტაციასა და არსებით დეტალებზე ძირფესვიანი მოკვლევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში
კომპანია მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის.

შპს „„კორპორაცია ქართული ღვინო“ ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში. დღემდე ამ კუთხით შპს „კორპორაცია ქართული ღვინო“ არ გამოვლენილა არც ერთი უკანონო შემთხვევა, რომელიც განხორციელდა საგადახდო არხების ან მისი საქმიანობის ხელშეწყობით.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურადაა მორგებული ბიზნეს საქმიანობის გამარტივებასა და ეფექტურობაზე, სტრუქტურის თავში გვევლინება დირექტორი ნათია გაგნიძე

დირექტორის მოკლე ბიოგრაფია

- შპს „„კორპორაცია ქართული ღვინო“ დირექტორად დაინიშნა ნათია გაგნიძე 2020 წლის 1 ივნისს.

სტრუქტურის თავისებურებანი და მაგალითები

კომპანიის სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება დირექტორს ან/და ზედამხედველ სტრუქტურულ ერთეულს. სწორედ ეს დანაყოფები არიან პასუხისმგებელი კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე.

ნებისმიერი სამსახურისათვის ცალკეულად ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ იყოფა თითოეული თანამდებობისათვის მიკუთვნებული ფუნქცია-მოვალეობებისათვის დამახასიათებელი პროცედურის აღწერილობით. ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლებების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

სტრუქტურული დაყოფის მაგალითი

ორგანიზაციული სტრუქტურა



ქარხნის ორგანიზაციული სტრუქტურა



კომპანიის პოლიტიკები

საერთაშორისო რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით შექმნილი კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვისათვის, კომპანიაში შექმნილია პოლიტიკები, რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომელთა მოქცევისა და ყოველგვარ დარღვევაზე ადეკვატური რეაგირების წესებს. პოლიტიკებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა:

ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია განსაზღვროს არსებული, პოტენციური და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების განსაზღვრის, მართვისა და აღკვეთის წესები. განმარტოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული თემები და დაეხმაროს თანამშრომლებს მათ პრევენციასა და ადეკვატურ რეაგირებაში. კერძოდ:

განსაზღვროს ის სიტუაციები, სადაც შესაძლებელია წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი;

ჩამოაყალიბოს ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენის, პრევენციისა და მართვის

პროცედურები, მექანიზმები და სისტემები;

დაიცვას კომპანიის, მისი მომხმარებლების, თანამშრომლების, ინვესტორებისა და მომწოდებლების ინტერესები, კონფლიქტის აღმომფხვრელი შესაბამისი ზომების შემუშავებით;

უზრუნველყოს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებთან შესაბამისობა.

რომელიც გულისხმობს რისკების შეფასებაზე დაფუძნებული მიდგომით ინფორმაციის კლასიფიცირებას, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას, ინფორმაციისა და ინფორმაციული რესურსების დახარისხებას კონფიდენციალურობის დონის მიხედვით, წვდომისა და გამოყენების სხვა წესების შემუშავებას.

აღნიშნული პოლიტიკის თანახმად, ინფორმაცია იყოფა კონფიდენციალურობის ოთხ კატეგორიად, ესენია - ,, საჯარო“, ,,შიდა მოხმარების“, ,,კონფიდენციალური“ და ,, სრულიად საიდუმლო“.

ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვები/აკრძალვები:

- საქმიანობა დამსაქმებელი კომპანიის გარეთ;
- ნათესაური კავშირები დაქვემდებარებულ თანამშრომელთა შორის;
- აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულება;
- ნარკოდამოკიდებულება;
- პერსონალური ტრანზაქციები.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

დოკუმენტის მიზანია პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საჭირო პროცესების და რეგულაციების დანერგვა და აღწერა. ამ კუთხით თანამშრომელთათვის აუცილებელი შეზღუდვების დაწესება და ამავდროულად მათი პერსონალური მონაცემთა დაცვა უკანონო და არამიზნობრივი გამოყენებისაგან.

ინფორმაციის კლასიფიკაციისა და მართვის პოლიტიკა

ინფორმაციული რესურსების გამოყენებაზე პრევენციული და დეტექციური კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა ინფორმაციის არქიტექტურული ინფრასტრუქტურის შექმნა,

ინფორმაციის მართვა რეგულირდება, აღნიშნული დონეების მიხედვით და მოიცავს ინფორმაციის მარკირების, გადაადგილების, წვდომის მინიჭების, შენახვისა და განადგურების წესებს.

შეტყობინების მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს დამსაქმებელ კომპანიაში ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც ოპერატიულად იქნება გამოვლენილი და აღკვეთილი ნებისმიერი შეუსაბამობა თუ დარღვევა. სწორედ კომპანიაში დასაქმებული ადამიანები არიან თვითმხილველნი მათ ირგვლივ არსებული დარღვევებისა. პოლიტიკის თანახმად, დამსაქმებელი კომპანია უზრუნველყოფს განმცხადებელი პირის ანონიმურობას, მისი განცხადება განიხილება სრული პასუხისმგებლობით და კონფიდენციალურობის მკაცრი დაცვით.

არაფინანსური ანგარიშგება

ჩვენი გუნდი

შპს „კორპორაცია ქართულ ღვინო“-ში დასაქმებულია დაახლოებით 80-მდე თანამშრომელი. უამრავი კანდიდატიდან, კომპანია არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით, რომელიც აუცილებლად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ ფართო წრეს.

კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.

ჯანსაღი გარემო შრომისათვის

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე შპს „კორპორაცია ქართული ღვინო“-სთან მიმართ არასოდეს აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განურჩევლად ყველას შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის.

აღსანიშნავია, რომ კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, შპს „კორპორაცია ქართული ღვინო“ ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო. კომპანია ახორციელებს თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევას.

შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკა და გამოყოფილია საკვანძო თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე.

კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

ამ სფეროს დასარეგულირებლად შპს „კორპორაცია ქართული ღვინო“ იყენებს, საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხოლო კონკრეტულად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს კონტროლს, რათა ნებისმიერი თანამშრომელი და კომპანიის მიერ თუ კომპანიაში განხორციელებული ქმედება იყოს შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი ნათია გაგნიძე.

ნ. გაგნიძე

CORPORATION GEORGIAN WINE LTD
204935099

წერილი შპს "კორპორაცია ქართული ღვინო"-ს პარტნიორებს და დირექციას

ჩვენ განვახორციელეთ შპს „კორპორაცია ქართული ღვინო"-ს (შემდეგში, „კომპანია") 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. კომპანიის მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისაგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს „კორპორაცია ქართული ღვინო" კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის , საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აღნიშნული მმართველობითი ანგარიშგების მომზადებაზე კომპანიის მფლობელებთან შეთანხმებული პოლიტიკის შესაბამისად და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებსა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისათვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე კანონის შესაბამისად, კომპანია ვალდებულია მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობითი ანგარიშგების შესახებ. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომლითაც მოითხოვება ეთიკის ნორმების დაცვა ჩვენს მიერ და აუდიტის იმგვარად დაგეგმვა და ჩატარება, რომ მოვიპოვოთ უტყუარი რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს აუდიტორული დასკვნის გაკეთებისათვის.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების (საქმიანობის მიმოხილვა) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მოცემული მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს , ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს „საბი" (SARAS-F-489086)-ის **სახელით**

გარიგების პარტნიორი **ზ. ჯაფარიძე** (SARAS-A-104216)

საქართველო, ქ. თბილისი, 29 სექტემბერი 2023 წელი